გორეჯის მცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №18(320) 2024 წ. 16-30 სექტემბერი ფასი 1 ლარი

გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!

ირაკლი კობახიძე
პრემიერ-მინისტრი

მოსწავლეებს და სტუდენტებს მინდა მივულოცო ახალი სასწავლო წლის დაწყება. განსაკუთრებით მივულოცავ, რა თქმა უნდა, პირველკლასელებს და პირველკურსელებს. ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება მათ ცხოვრებაში და ყველას მინდა ვუსურვო წარმატებები.

ახალი სასწავლო წელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლებში

ღვინის ეროვნული საგენტოს ინფორმაციით

23 სექტემბრის მდგომარეობით, კახეთში გადამუშავებულია 205 ათასი ტონა ყურძენი, მათ შორის, 81,2 ათას ტონამდე რქაწითელი, 97,2 ათას ტონამდე საფერავია.

მოსავალი ამ ეტაპისთვის 15 ათასზე მეტმა მევენახემ დააბინავა, ყურძნის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი 287 მლნ ლარს აღწევს.

ყურძნის დღეღამური გადამუშავების მაჩვენებელი 10 ათას ტონას აჭარბებს, რაც ნიშნავს რომ რთველი აქტიურ ფაზაშია.

ყოველდღიურად მოსავლის გადამუშავება 80-მდე კომპანიასა და მარანში მიმდინარეობს, მათ შორის, შპს „მოსავლის მართვის კომპანია“ მევენახეებისგან ყურძენს კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში 15-მდე ლოკაციაზე იბარებს. ამ დრომდე რთველის პროცესში ჯამურად 303 ღვინის კომპანია და მარანი იყო ჩართული.

მევენახე ფერმერების მიერ ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის და მეღვინეობის დარგის სტაბილური განვითარების მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს მთავრობა რთველის სუბსიდირებას წელსაც ახორციელებს. სახელმწიფო სუბსიდიას მიიღებს ყველა ის კომპანია, რომელიც 1 კგ რქაწითელში მევენახეს არანაკლებ 1.00 ლარს უხდის.

ამასთან ერთად, საფერავის ჭარბი მოსავლის პირობებში მისი დროული დაბინავებისა და ხარისხის შენარჩუნების მიზნით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 13 სექტემბრიდან, შპს „მოსავლის მართვის კომპანია“ მევენახე ფერმერებისგან 1 კგ საფერავის ჯიშის ყურძენს 1.50 ლარად იბარებს, ხოლო მევენახეებს, რომლებსაც 13 სექტემბრამდე ლარნახევარზე ნაკლებ ფასად აქვთ ჩაბარებული საფერავის ჯიშის ყურძენი, საქართველოს მთავრობა დაუკომპენსირებს სხვაობას ლარნახევარსა და მიღებულ საფასურს შორის.

2024 წელს, ყურძნის საპროგნოზო მოსავალი რეკორდულ 300 ათას ტონას შეადგენს.

რთველი-2024 დაიწყო ბარაქიანი შემოდგომა

დადგა შემოდგომა და კარს მოგვადგა „რთველი-2024“, რომელიც საბოლოოდ შეაჯამებს მევენახეების წლის მანძილზე გაწეული შრომის შედეგებს. ეს კამპანია მუნიციპალიტეტში 10 სექტემბრიდან, ტრადიციულად განაპირა, აღმოსავლეთის სოფლებიდან, შიბლიანიდან და მზისგულიდან დაიწყო, რაშიც შემდგომ სხვა სოფლების მევენახეებიც ჩაერთვნენ. ძირითადში იკრიფება და ყურძნის მიმღებ საწარმოებს ბარდება „საფერავის“ ჯიშის ყურძენი. ყურძნის ჩაბარება პირველებმა კაჭრეთის, კარდენახისა და გურჯაანის ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელმა ქარხნებმა დაიწყეს, რომელთაც შემდგომ ბადიაურის ღვინის ქარხანა შეუერთდა. 19 სექტემბრისთვის კილოგრამ „საფერავზე“ ჩასაბარებელი ფასი 1.50 ლარს შეადგენდა. რაც შეეხება „რქაწითელს“ კერძო ბაზარზე 1,20-1,30 ლარია. 22 სექტემბრიდან ამავე ჯიშის ყურძნის მიღება ბადიაურის ღვინის ქარხანაში დაიწყო „დუგლაძეების კომპანიამ“, რომელიც კილოგრამ „რქაწითელში“ ჩამბარებელს 1.10 ლარს გადაუხდის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტოს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, წელს, ჩვენს მუნიციპალიტეტში მთლიანობაში მოსალოდნელი 40 ათასი ტონა ყურძნის მოსავალი. იმის გათვალისწინებით, რომ უახლოეს პერიოდში მუნიციპალიტეტში გაიხსნება სხვა ყურძნის მიმღები საწარმოები და ქვეყნის ხელმძღვანელობის მხრიდან შექმნილია ყველა სათანადო პირობა ყურძნის დროულად და შეუფერხებლად ჩაბარებისათვის, ყველა პირობა არსებობს, რომ სხვებთან ერთად მუნიციპალიტეტის მევენახეებს ჩაუბარებელი და რეალიზაციის გარეშე არ დარჩებათ არც ერთი კილოგრამი ყურძენი.

კალთაბარაქიანი ყოფილიყოს წლევანდელი შემოდგომა გარეჯელი მეზვრეებისათვის.

ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტულ დარბაზებში

წარმატებებიდან წარმატებებისაკენ სწრაფვით

ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ სპორტულ დარბაზებში ზაფხულის განმავლობაშიც არ შეწყვეტილა ფიზიკური მომზადება ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტულ სექციებში გაერთიანებული ახალგაზრდებისა. მაგრამ ახალი სასწავლო წლის დასაწყისი მაინც სხვაა. სექციებს ახალ-ახალი ახალგაზრდები ემატება, მეტი პასუხისმგებლობა ემატება მწვრთნელებს.

ახალ 2024-2025 სასწავლო წელს თუ რომელი სპორტული სექციები იფუნქციონირებს, როგორ შეხვდა ახალ სასწავლო წელს გაერთიანების სპორტული ბაზები, ამის შესახებ გვესაუბრება ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ დირექტორი მამუკა კურდღელაშვილი.

– ჩვენი გაერთიანების სპორტულ დარბაზებში კვლავ ახალი შემართებითა და მიზანდასახული საქმიანობით განახლდა მუშაობა, თუმცა, მინდა აქვე გითხრათ, რომ არც ზაფხულში შეწყვეტილა გაერთიანების მთელ რიგ სპორტულ წერტილებში სპორტსმენთა ვარჯიშებისა და წვრთნების საპასუხისმგებლო პროცესები. მთელი ზაფხულის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ეწყობოდა ტურნირები ჭიდაობაში, ზაფხულში ჩატარდა მკლავჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატი და ა.შ.

განახლდა მეცადინეობები ჩვენი გაერთიანების შემდეგ სექციებში:

ტანვარჯიში: ა) მხატვრული ტანვარჯიში (მწვრთნელი-მასწავლებელი – მედეა ვეკუა); ბ) სპორტული ტანვარჯიში (მწვრთნელი-მასწავლებელი – ანა იაკობაშვილი).

თავისუფალი ჭიდაობა: ა) საგარეჯოს სპორტული დარბაზი (მწვრთნელი-მასწავლებლები: რამაზ ასაბაშვილი, კობა საგინაშვილი;

ხაშმი – ომარ ასაბაშვილი;

მანავი – ტარიელ როსტომაშვილი

ძიუდო:

საგარეჯო: მამუკა მათიაშვილი, ნიკოლოზ გაგნიაშვილი, (სამბო) კახაბერ ყორღანაშვილი, ქართლოს თედიაშვილი.

ჩაილური: თეიმურაზ როსტიაშვილი,

მზისგული:

სოსო ჭიკაძე,

გიორგიწმინდა:

ბადრი ბასილაშვილი, გოდერძი მეკოკიშვილი, ლევან ჭიაბერაშვილი;

კაკაბეთი:

გიორგი მასურაშვილი,;

ბადიაური:

მიხეილ ქურხული;

უდაბნო: ლაშა ფირცხელანი, ლევან გურჩიანი;

პატარძეული:

ივანე კოტორაშვილი, ტარიელ სუხაშვილი;

გოგონათა ძიუდო:

საგარეჯო:

ფერაძე ლუდმილა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

თამაზ ყიფიანი

კრივი

საგარეჯო:

გიორგი დეკანოზიშვილოი, გიორგი კოხტაშვილი;

მკლავჭიდი

გიორგიწმინდა:

მამუკა ბილანიშვილი;

ჭადრაკი

საგარეჯო:

ირაკლი ქვლივიძე, ელენე ფარეშიშვილი, ნანი უნაფქოშვილი.

ნორჩ სპორტსმენებს სპორტულ დარბაზებში ყველა პირობა აქვთ შექმნილი ნორმალური ვარჯიშებისა და წვრთნებისათვის. რეაბილიტაცია ჩაუტარდა საგარეჯოში ***არსენ მეკოკიშვილისა და შალვა გზირიშვილის*** სახელობის სპორტულ დარბაზებს, საჭირო, აუცილებელი სპორტული ინვენტარით შეივსო მუნიციპალიტეტში არსებული თითქმის ყველა სპორტული დარბაზი.

სიამაყით გეტყვით, რომ მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ჩვენს სპორტსმენებში არ განელებულა ის დადებითი მუხტი და წარმატებებისკენ სწრაფვის სურვილი, რაც მათ მანამდეც ჰქონდათ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი და საქართველო არაერთხელ ასახელეს ჩვენმა სპორტსმენებმა. ასევე, მაგალითად, ევროპის ჩემპიონატზე ***სამბოში*** პირველი ადგილი დაიკავა **შალვა გულისაშვილმა,** მეორე ადგილი – **ოთარ ოდიკაძემ** (ორივეს მწვრთნელი-მასწავლებელი მამუკა მათიაშვილი), საქართველოს პირველობაში კადეტებში 2008-2009 წლებში დაბადებულ ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა – **ვლადიმერ მაჩურიძემ**, მეორე ადგილი – **რამაზ საყვარელაშვილმა**, საქართველოს პირველობა 2006-2007 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის მესამე ადგილი – **ბიბი ესაიაშვილმა** (მწვრთნელ-მასწავლებელი ნიკოლოზ გაგნიაშვილი), საქართველოს პირველობა 2004-2005 წლებში დაბადებულთა შორის **სანდრო სონიშვილმა** (მწვრთნელ-მასწავლებელი მამუკა მათიაშვილი).

რაც შეეხება ძიუდოს, აქაც გვყავს თავნასახელები ახალგაზრდები. ასე, მაგალითად, შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ტურნირში თავი ისახელეს **ირაკლი კუპატაძემ** (მწვრთნელი მამუკა მათიაშვილი), **ამირან დარბაისელმა** (მწვრთნელი ნუკრი გაგნიაშვილი). საქართველოს ჩემპიონატზე 2007-2008 დაბადებულთა შორის – **შოთა ბაჩოშვილმა** (მწვრთნელი ნიკოლოზ გაგნიაშვილი), **გიორგი ნაცვლიშვილმა** (მწვრთნელი გოდერძი მეკოკიშვილი). ვაჟებს არც გოგონები ჩამორჩნენ და საქართველოს პირველობაზე 2007-2009 წლებში დაბადებულთა შორის **ნინო საფარაშვილმა,** საქართველოს ჩემპიონატში ახალგაზრდა გოგონებს შორის **თამარ სუხიაშვილმა** (მწვრთნელ-მასწავლებელი ლუდა ფერაძე) საუკეთესო შედეგები აჩვენეს.

თავისუფალ ჭიდაობაში კი საქართველოს ეროვნულ პირველობაში **ფირუზ ძვლივიძემ, თორნიკე ასაბაშვილმა, გიორგი ძისტაურმა, თორნიკე თულაშვილმა** (მწვრთნელი-მასწავლებელი რამაზ ასაბაშვილი) საუკეთესო შედეგები აჩვენეს.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ეროვნულ პირველობაზე **შოთა ტაბატაძემ** (მწვრთნელ-მასწავლებელი თამაზ ყიფიანი) კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ქართველი მოჭიდავისათვის ჭიდაობის ილეთები გენეტიკაში დევს და თაობიდან თაობას გადაეცემა, ჭიდაობის რომელ სახეობაშიც არ უნდა იღებდეს მონაწილეობას. ეს ასევე, დაგვიმტკიცეს ქართულ ჭიდაობაში აპრილში გამართულ საქართველოს პირველობაზე 2007-2009 წლებში დაბადებულ მოჭიდავეებს შორის **ლუკა დარბისპანაშვილმა** (მწვრთნელი ბადრი ბასილაშვილი) და საქართველოს პირველობაზე 2007-2009 წლებში დაბადებულთა შორის **ვახტანგ ჭიაპერაშვილმა, მერაბ ზირაძაშვილმა** (მწვრთნელი მამუკა მათიაშვილი).

ასევე გვყავს საქართველოს 2024 წლის ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული კრივში – **სალომე კავთუაშვილი** (მწვრთნელი გიორგი დეკანოზიშვილი), რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა.

მსოფლიო განაცვიფრეს ჩვენმა მკლავჭიდელებმა, ევროპის ჩემპიონატში, რომელიც მაისში გაიმართა, **ალეკო კევლიშვილმა**, I ადგილი მარცხენა და I ადგილი მარჯვენა ხელში დაიკავა, აქვე ამ შეჯიბრებაში მეორე ადგილი მარჯვენა ხელში და III ადგილი მარცხენა ხელში დაიკავა – **გიორგი როსტომაშვილმა, გიორგი დიდმელაშვილმა** – II ადგილი მარცხენა ხელში და III ადგილი – მარჯვენა ხელში, მარცხენა ხელში – I ადგილი და II ადგილი მარჯვენა ხელში – **გიორგი ღვინაშვილმა, ნიკა კუზანაშვილმა** III ადგილი – მარჯვენა ხელში, **მერაბ ალუდიშვილმა** I ადგილები – მარჯვენა და მარცხენა ხელებში, **ოთარ საბაშვილმა** მარცხენა ხელში, **ბაჩო დიდმელაშვილმა** ***პირველი ადგილები დაიკავა ორივე ხელში***

რაც შეეხება აგვისტოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატს, აქ **ბაჩო დიდმელაშვილმა** მარჯვენა და მარცხენა ხელში პირველი ადგილები დაიკავა, **მერაბ ალუდიშვილმა** II ადგილი – მარცხენა ხელში და III ადგილი მარჯვენა ხელში, **ოთარ საბინაშვილმა** – მესამე ადგილი მარჯვენა ხელში (მწვრთნელ-მასწავლებელი მამუკა ბილანიშვილი).

სიამაყით და მადლიერებით მინდა ვთქვა, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის მერს ***ბატონ ავთანდილ გულიკაშვილს*** ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია ჩვენი ნორჩი სპორტსმენების წარმატებები და ყოველთვის პირადად ხვდებოდა მათ, ულოცავდა და სამახსოვრო საჩუქრებს გადასცემდა, რაც დიდი სტიმულია და მოტივაციაა ჩვენი სპორტსმენებისათვის.

16 სექტემბრიდან კვლავ ახმიანდა ჩვენი სპორტული დარბაზები, მოგვემატა სექციებში ახალ-ახალი აღსაზრდელები და მწვრთნელ-მასწავლებლებიც ენთუზიაზმით შეუდგნენ მომავალი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ჩემპიონობისათვის ნორჩ სპორტსმენთა მომზადებას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ისტორიული პროექტების განხორციელება გრძელდება!

თამარ ჯაბადრის სახელობის ახალგაზრდული სკვერი საზეიმოდ გაიხსნა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის **ავთანდილ გულიკაშვილის** მხარდაჭერით და ახალგაზრდების სურვილის გათვალისწინებით, ქ. საგარეჯოში მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ეზო კეთილმოწყო, აღიჭურვა ადაპტირებული საპირფარეშოებით, პანდუსით, უსადენო ინტერნეტითა და ელექტრო დამტენი სისტემით.

ახალგაზრდებმა შეხვედრისას, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადეს ლამაზი სივრცის მოწყობისთვის და ახალგაზრდების განვითარების ხელშემწყობი პროექტების მხარდაჭერისა და განხორციელებისთვის.

ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, არაფორმალური მიმართულება ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რომლის საბოლოო მიზანიც ახალგაზრდული აქტივობებისა და წამახალისებელი ღონისძიებების შექმნაა, რაც თავისთავად ახალგაზრდებთან მჭიდრო კომუნიკაციის საშუალებას გვაძლევს. მათი საჭიროებების განსაზღვრისა და პრობლემების გადაჭრის გზებზე მუშაობის საფუძველზე, მაქსიმალური ჩართულობით, ადგილობრივი ახალგაზრდების ინტერესის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდება.

ქალაქი საგარეჯო

ქალაქ საგარეჯოში, ჯაფარიძის ქუჩაზე, ახალი, მრავალფუნქციური სპორტული მოედნის მშენებლობა დასრულდა.

ადგილობრივი ახალგაზრდების სურვილის გათვალისწინებით და მუნიციპალიტეტის მერის, ავთანდილ გულიკაშვილის მხარდაჭერით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და საჭირო პროექტი შეემატა 2024წლის ინფრასტრუქტურული ობიექტების ნუსხას!

სოფელი პატარძეული „ნახალოვკის“ უბნის გზას სრული რეაბილიტაცია უტარდება

პროექტის ფარგლებში განხორციელდა მიწის სამუშაოები, მოეწყო გზის საფუძველი და ასფალტ-ბეტონის პირველი ფენის საფარი, შეკეთდება და მოეწყობა ახალი ხელოვნური ნაგებობები. ასევე, შემოიფარგლება გზის სავალი ნაწილი და დამონტაჟდება საგზაო ნიშნები.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და სამუშაოები მიმდინარე წლის შემოდგომაზე დასრულდება.

მშენებლობის სამუშაოების საწყისი ეტაპი ადგილობრივი თვითმმართველობის პირველმა პირებმა მოინახულეს, მოსახლეობას გაესაუბრნენ და პროექტის დეტალები გააცნეს.

აღნიშნული პროექტი, ადგილობრივებისთვის უმნიშვნელოვანეს საჭიროებას წარმოადგენს, ათეულობით წლების პრობლემა უახლოეს პერიოდში გადაიჭრება და გზის მოწყობასთან ერთად, მიმდებარედ, ინდივიდუალურ ჭიშკრებთან მისასვლელ მონაკვეთებზეც ასფალტო-ბეტონის საფარი განთავსდება.

სოფელი ნინოწმინდა

სოფელ ნინოწმინდაში, წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის მიმდებარედ, მე-15 ქუჩისა და ჩიხების მოასფალტების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ გულიკაშვილი**, ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელთან **ბექა ფეიქრიშვილთან** ერთად სამუშაოებს ადგილზე გაეცნო და მისი მითითებით, ქუჩის მაცხოვრებელთა ჭიშკრებთან მისასვლელი მიერთებების მოასფალტების სამუშაოები განხორციელდა.

აღნიშნული პროექტი, რომელიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე დასრულდება, სანიაღვრე სისტემის მოწყობისა და მოასფალტების სამუშაოებს ითვალისწინებს.



სოფელი წყაროსთავი

სოფელ წყაროსთავში, ახალი - მრავალფუნქციური სკვერის მოწყობის სამუშაოები დასრულდა.



სოფელი გიორგიწმინდა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, განსახორციელებელი პროექტების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი-ავთანდილ გულიკაშვილი ინფრასტრუქტურული სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოების ადგილზე გაცნობის მიზნით, სოფელ გიორგიწმინდას, ესტუმრა. მერის წარმომადგენელს შეხვდა და სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა.

ადგილობრივებმა, ავთანდილ გულიკაშვილს ბოლო პერიოდში განხორციელებული პროექტებისთვის მადლობა გადაუხადეს და წარმატება უსურვეს.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტისთვის 668 000 ლარია გამოყოფილი.

პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტებია:

სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის, ჭაბურღილები, წყალსადენები, სათავე ნაგებობები, გამწმენდი ნაგებობები, ჭა და ა.შ.);

სარწყავი სისტემები;

სანიაღვრე არხები;

ნაპირსამაგრი სამუშაოები

გზები და გზისპირა მოსაცდელები;

ხიდები, ცხაური, ხიდ-ბოგირები, გადასასვლელები.

გარე განათება.

სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი;

სასაფლაოების შემოღობვა და კეთილმოწყობა;

სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი;

სკვერები, მათ შორის, საბავშვო სკვერები, შესაბამისი ინვენტარით, აგრეთვე სარეკრეაციო სივრცეები და სველი წერტილები, შესაბამისი ინვენტარით.

ქეთი გრიგოლავილი,

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

ბაღიდან სკოლაში – პირველი ნაბიჯები...
როცა სიყვარული მიგყვება...

საბავშვო ბაღის ეზოს ჭიშკარს, დიდი კაცივით – დინჯად გადმოაბიჯებდა, სერიოზული სახით თვალს მოავლებდა ეზოს, გამართული, მწყობრი ნაბიჯებით გაივლიდა ეზოს და თავდაჯერებული აუყვებოდა კიბეებს, განა არ გრძნობდა, შორიახლოს დედიკო ან მამიკო მიჰყვებოდა, მაგრამ დამოუკიდებლად უნდოდა ამ დიდ , უზარმაზარ სამყაროს შეჩვეოდა... ხოდა, ახლა საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის პირველკლასელია, ისეთივე დამაჯერებელი ნაბიჯებით ადის სკოლის კიბეზე, ინტერესით კისერწაგრძელებული – აქ ხომ მისი თანატოლებიც არიან და მასზე დიდებიც, მერე რა, რომ პატარაა, იცის, გავა წლები და თვითონაც გაიზრდება, გამაღლდება, უფრო გაბედული, მტკიცე, კაცური ნაბიჯებით აივლის კიბეებს, დერეფანშიც კედლის მხარეს აღარ გაივლის...

ეს ბიჭი, დიდი, კეთილი გულით, ლამაზი თვალებითა და უკვე კაცური მანერებით **დათი ფეიქრიშვილია.** ადრე, ამ სკოლაში მამიკოც სწავლობდა, ტყუპი პაპებიც, ფეიქრიშვილებს ასაკიანი მასწავლებლებიც იხსენებენ და მამიკო ხომ ყველას ახსოვს – ბექა ფეიქრიშვილი, კარგად რომ სწავლობდა.

დედიკო – ნელიკო გულიკაშვილი ანსამბლ „ჩინარის“ სოლისტია, სწორედ მას ვთხოვეთ პირველკლასელ დათიზე და მის სასკოლო, პირველ ნაბიჯებზე მოეთხრო.

– დათი არის ძალიან მოწესრიგებული, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, კონტაქტური, ერთი სული ჰქონდა ბაღში როდის მივიდოდა, დღეებს ითვლიდა. ძალიან უყვარს ადამიანები, ბავშვები. ბაღში ჩვენი მასწავლებელი იყო მარინა ჭიაურელი, ძიძა თინიკო გაგნიაშვილი – დათუნა შვილი, ორივე თბილი, მოსიყვარულე, ყურადღებიანი ადამიანი, დათი უზომოდაა მათზე შეყვარებული (დღემდე მთხოვს სკოლის მერე, ბაღში მიყვანას, რომ მასწავლებელი და ძიძა ნახოს).

დღეს უკვე ცხოვრების ახალ ეტაპზე გადავედით. ჩვენც მივედით სკოლაში. ალბათ დამეთანხმებით, რომ კარგ მასწავლებელს შეუძლია იმედი გააჩინოს, აამაღლოს წარმოსახვა და შეუქმნას სწავლის სიყვარული ბავშვს. მასწავლებელი, რომელიც უამრავი ბავშვის მშობელი, 12 წლის განმავლობაში მასთან ერთად იკვლევს თავიდან გზას, ასწავლის ზრდილობას, პატივისცემას და ცხოვრებას, ზრუნავს მის განათლებაზე და მომავალზე. მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ჩვენ აქაც გაგვიმართლა. ძალიან კარგი მასწავლებელი შეხვდა დათის – თეა ქოქრაშვილი, რომელიც თავისი საქმის პროფესიონალია. ჯერ სულ რადაც ერთი კვირაა რაც სკოლაში შევდგით ფეხი და თეა მასწავლებელმა მოახერხა უკვე შეეყვარებინა დათისთვის სკოლა და სწავლა. ყოველ დილით სიხარულით მივმართება სკოლისაკენ. რომ იტყვიან, სკოლამ და მასწავლებელმა დათის მოლოდინი გაამართლა.

დათი არც სიმღერების შესწავლაზე იტყვის უარს, ან კი როგორ იტყვის, მისი ბებო – ნელი გულიკაშვილი მთელ ყოფილ საბჭოეთში ცნობილი იყო და დღესაც არის ცნობილი ფოლკლორული სიმღერებით თუ თავისი ხელით დაწერილი სიმღერებით – დათის ბებოს – ნელის დაწერილი „იავნანა“ მსოფლიოს 20 „იავნანას“ შორისაა შესული და უცხოელ მსმენელსაც მოსწონს. „იავნანის“ რა მოგახსენოთ, მაგრამ დათის ძალიან მოუხდება ვაუკაცური სიმღერები, რომლებსაც ანსამბლ „ჩინარის“ ხელმძღვანელი მისი ბებო ნელი გულიკაშვილი და დედამისი – უმცროსი ნელიკო გულიკაშვილი თავიანთი ხმებით ატკბობენ მსმენელთ...

მანამდე ცეკვაზე დადის და სკოლის შემდეგ ძალიანაც კარგ დროს ატარებს სახლში მანანა ბებოსთან ერთად – უამრავი თამაშობებით ერთობიან მშობლების მოსვლამდე...

იცოდე, საქართველო, დათის სახით ერთი კარგი ვაუკაცი გეზრდება შენს მეცხოვნედ!

ბათუმში, „შავი ზღვის თასის“ გათამაშებაზე საგარეჯოელ ძიუდოისტთა დიდი წარმატება

12-13 სექტემბერს ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი 2007-2008 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა შორის – „შავი ზღვის თასზე“, რომელშიც მასპინძელი საქართველოს გარდა, მონაწილეობდნენ: უკრაინის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, თურქეთისა და კვიპროსის წარმომადგენლები. მათ შორის ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ (***დირექტორი* მამუკა კუჭდღელაშვილი**) მოჭიდავეები, რომელთაც ღირსეულად წარმოაჩინეს და დაიცვეს ტურნირზე გარეჯული ძიუდოს სკოლის პრესტიჟი. აქედან უნდა აღინიშნოს 60კგ წონით კატეგორიაში მათი ასპარეზობა, სადაც მათ მეტოქეებს არანაირი შანსი არ დაუტოვეს რომელიმე საპრიზო ადგილის დაკავებისა. აქ ყველა ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები საგარეჯოელებს შორის ჩატარდა, რის შედეგადაც ჩემპიონის ტიტული მოიპოვა **ვახტანგ (ვახო) ჭიაბერაშვილმა**, მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა **ლუკა დარისპანაშვილი,** მესამე ადგილზე – **ლუკა კანჯარაშვილი და ოთარ ოდიკაძე.**

ბრწყინვალედ იასპარეზა 73 კგ წონით კატეგორიაში და არც ქართველ და არც სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს ჩემპიონის ტიტული არ დაანება ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების ძიუდოისტმა **ნიკოლოზ კუჭდღელაშვილმა.** იგი სულ რამდენიმე თვეა გადავიდა ამ წონით კატეგორიაში და თავისი პირველივე ასპარეზობა ასეთი წარმატებით აღნიშნა.

როგორც იტყვიან „ეს ერთი და სხვა კიდევ მრავალი“, წარმატებები ვუსურვოთ შემდეგშიაც ბათუმში თავნასახელებ ჩვენს ძიუდოისტებს.

გივი დაბახიშვილი

ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი სოფელ უდაბნოდან
კვლავაც წარმატებებს და გამარჯვებებს ველოდებით!

მისთვის და მისი უფროსი ძმისთვის უდაბნო მშობლიური სოფელია. აქ აიდგეს ფეხი, შეიყვარეს აქაური მკაცრი კლიმატური პირობების მქონე, მაგრამ თბილი და მშრომელი ადამიანებით გაბრწინებული სოფელი. მშობლებისგან მონაყოლით და სტუმრად ყოფნისას თავიანთი გვარის ნავსაყუდელი, ონის რაიონის სოფელი ღებიც საფიცრად გაიხადეს. დიახ, სოფელ უდაბნოში დაფუძნდნენ 1981 წლიდან **ელისო ჩიკვაიძე** და **ისმაილ-მიშა გობეჯიშვილი,** აქ შეეძინათ გრიგოლი და დევიკო. აქ, რაჭის მაღალმთიან სოფლებში გაზრდილები რადაცნაირად შეეჩვივნენ უდაბნოს ხორშაკ ქარსაც და მცხუნვარე მზესაც. ისმაილი უდაბნოს საბჭოთა მეურნეობაში ათეული წლები მუშაობდა ელექტროშემდუღებლად, მეუღლე – ქალბატონი ელისო ჯერ სოფლის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი იყო, შემდეგ კი საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარი და დღემდე წარმატებით აგრძელებს სკოლის მოსწავლეებთან ერთად საინტერესო ღონისძიებების ჩატარებას.

შვილებმა გრიგოლმა და დევიკომ უდაბნოს საჯარო სკოლა დაამთავრეს. სკოლაში სწავლის პერიოდში უმცროსი – დევიკო მწვრთნელ **ელგუჯა (გუჯა) ხაჭვანთან** ჭიდაობის საიდუმლოებებს აქტიურად ეუფლებოდა. არაერთხელ მიუღია აქტიური მონაწილეობა საგარეჯოს რაიონულსა და კახეთის რეგიონულ ტურნირებში – არ იწუნებდა არც ქართულს, არც ძიუდოს, მაგრამ, რატომღაც სამბო უფრო მოსწონდა, დრომ მოიტანა და ძიუდოს ტურნირები წამოვიდა წინ...

დევიკომ სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში გააგრძელა – მწვრთნელის პროფესიის დასაუფლებლად. ცოტა გული ჰქონდა დაწყვეტილი, მისი მწვრთნელი გუჯა ხაჭვანი ბერად აღიკვეცა უდაბნოს დოდო გარეჯელის სახელობის მამათა მონასტერში, მაგრამ დღესაც სწამს და სჯერა, რომ მამა პავლე თავის ყოფილ მოსწავლეს – დღეს ცხოვრების მძიმე ბილიკებს შეჭიდებულ, ოთხი შვილის მამას მონასტრის ყოველდღიურ ლოცვებში მოიხსენიებს და გულით უხარია მისი წარმატებები.

სად, რა სამსახურებრივ თანამდებობაზე არ მოუწია მუშაობა, მაგრამ დღესაც, თავდაცვისა და ფინანსთა სამინისტროების ყოფილი თანამშრომელი საქართველოს შინაგან საქმეთა აკადემიის ტექნიკური სამსახურის ინსტრუქტორი, აქტიურ სპორტულ ცხოვრებას ეწევა. სულ ახლახანს, ივნისის დასაწყისში დევიკომ ბოსნია-ჰერცოგოვინის ქალაქ სარაევოში გამართულ ვეტერან ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე ***ოქროს მედალი*** მოიპოვა. აქ მიმდინარე ჩემპიონატზე 100 კილოგრამიანთა წონით კატეგორიაში იასპარეზა. მან ფინალური ორთაბრძოლა ქართველ ვეტერან ძიუდოისტთან გიორგი მოდებაძესთან გამარჯვებით დაასრულა და 100 კილოგრამიანთა წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა.

არც გასული წელი იყო დევიკოსთვის უმნიშვნელო – 2023 წლის ივნისში ვეტერანთა ევროპის ჩემპიონატი. საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა მედლებს ***ბრინჯაოს*** სინჯის მედალი შემატა, ხოლო იმავე წელს, ნოემბრის პირველ რიცხვებში დუბაიში გამართულ ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატიდან ***ვერცხლის*** მედალი ჩამოიტანა.

და რას აკეთებს დღეს საქართველოს, კახეთის საამაყო შვილი?!

– აქვს საპასუხისმგებლო სამსახური (ზემოთ ვახსენეთ),

– არის დისციპლინირებული, მოწესრიგებული, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ვეტერანი სპორტსმენი, აქტიურად ვარჯიშობს;

– ემზადება ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატისათვის, რომელიც სულ მალე ამერიკაში გაიმართება;

– ყველა გამარჯვებას უძღვნის საქართველოს, საყვარელ მშობლებს, ძმას, შვილებს: ლუკას – მეხუთე კლასის მოსწავლეს, პირველკლასელ ელისაბედს საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა სოფიას და დემეტრეს და უპირველესად – მეუღლეს – გამარჯვებები, წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს თანამემამულეს, დევიკო გობეჯიშვილს, რომელიც 40 წლის ასაკშიც ვერ „ელევა“ სპორტს, ჭიდაობას და ამით ერთგავ მუხტს აძლევს არა მარტო თანასოფლელებს, არამედ მის გვერდით მყოფ ყველა ახალგაზრდას – ყველა ასაკში ეცადონ ძალთა შესაძლებლობების გამოვლენას და თავისი ქვეყნის სამსახურსა და სიყვარულში კეთილად მოხმარებას.

მომავლის წარმატებები ვუსურვოთ უდაბნოელ **სპორტსმენს,** რომლის ფიქრი და საზრუნავი ხშირად, მოუცლელობის ჟამსაც, უდაბნოსაც, მშობლიურ სოფელსაც სწვდება.

„ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან?!“

„ენაწყლიანი„ და „მაღალხმიანი“

ერთი სიფრიფანა, პატარა გოგონაა, შავი, ბრიალა თვალებით, ისეთი სიარული აქვს, თან რადაცნაირად დადებითი ენერგია რომ დაჰყვება. პირველად არც მიმიქცევია დიდად ყურადღება, ბავშვთა გასართობ ცენტრში სხვა უფრო საინტერესო მომენტებია საყურადღებო... გულმა ვერ მომითმინა და მოვიხმე. ცენტრის „მეპატრონე“ აღმოჩნდა – **ანასტასია ყორღანაშვილი,** გამეცნო დიმილიანი სახით. მეც გავაცანი ჩემი თავი. და კიდევ, ვინ არის თურმე იცით, ანასტასია ყორდანაშვილი – ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქ კარლოვი ვარში ჩატარებული საერთაშორისო მუსიკალური კონკურსის – „სულიკოს“ I ადგილის და ფესტივალის ორგანიზატორის რჩეულის სტატუსის მქონე! იმასაც გეტყვით, რომ ჩემი გაზეთის რედაქციაში მოდვაწეობის მთელ მანძილზე ასეთი რესპოდენტი არც სრულწლოვანი, არც ასაკიანი და არც არასრულწლოვანი არ შემხვედრია! მართალს გეუბნებით, მართალს! ჰკითხეთ თუნდაც საგარეჯოს მეოთხე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგს, მისი კლასის დამრიგებელს ნინო ნანუაშვილს, ასეთი ენაწყლიანი, მდიდარი ლექსიკის მქონე თუ ვინმე იყოს მესამე კლასში კი არა, საერთოდაც...

– ორი წლის წინ დედაჩემმა მიმიყვანა საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებულ ანსამბლ „მირელას“ ხელმძღვანელ მარინა ურდულაშვილთან, – ***„ჩაირთო საინფორმაციო წყარო“,*** – მარინა მასწავლებელმა საკონკურსოდ, თბილისში ტარდებოდა კონკურსი „სულიკო“, სიმღერა „ოლეიო“ კონოფილმ „ბუსიკის ჰანგებიდან“ შევასრულე. ჟიურის წევრებმა 10 ქულები დამიწერეს, ჟიურის ორმა წევრმა, ერთი მარიკა იყო, მან 8 და 9 ქულა. აი, იქვე დავიქადნე, მე შენ თუ 10 ქულა არ დაგაწერინო შემდეგ კონკურსში, ნახავ-თქო... აი, მეორე კონკურსისთვის მარინა მასწავლებელმა შემირჩია სიმღერა „ციცინათელა“, ვმუშაობთ ორივე, ვმღერი თავდავიწყებით და ვიშველიებ ხელებს... მარინა მასწავლებელი შენიშვნას მაძლევს – ხელები გააჩერე, და ისე იმღერეო. მივუბრუნდი და ვუთხარი: – ეს სიმღერა ჩემს ხასიათში ზის, როცა ხელებს ვიშველიებ, თავს კარგად ვგრძნობ და იმ მაღალ და დაბალ ნოტებსაც კარგად ვიღებ, მეთქი... რა უნდა ეთქვა მასწავლებელს. ხოდა, ამ სიმღერის შესრულებით სცენაზე დაქადნებული 10 ქულა დავაწერინე იმ ადრინდელი ჟიურის წევრს, ჟიურიში ორი ქალი და ორი კაცი იყო, ყველამ შემაქო. კონკურსიდან ჩეხეთის საერთაშორისო ფესტივალზე საგზურიც ავიღე და დედ-მამით და ნათესავის ოჯახიდან სამი წევრით პრაღაში გავემგზავრეთ. თვითმფრინავში ვზივარ, გული სიხარულით მაქვს სავსე, შევატყე კაცებს უფრო ეშინიათ თვითმფრინავით მგზავრობის, აი, „ციცინათელას“ შემსრულებელი კი ვზივარ და ვოცნებობ – გაგრძელდეს მგზავრობა...

საუბრობს ანასტასია და სიტყვას ვერ „ვაგდებ“, არ ჩუმდება.

– იცით, რა პრაღაში საერთოდ არ იციან რუსული ენა, იქ ინგლისურად გელაპარაკებიან, კარლოვი ვარში – პირიქითაა, ყველა რუსულ ენაზე საუბრობს, კარგად იციან რუსული, ეს ვერ ავხსენი. ისე, ჩვენთან, საქართველოშიც ასე არ არის?!

საერთაშორისო ფესტივალზე თუ იცით, რა დავიმსახურე?! სიმღერა „ციცინათელა“ შევასრულე ქართულ და ფრანგულ ენებზე და ჟიურის სამმა წევრმა ხომ 10 ქულა მომაკუთვნა, მეოთხემ 10 ქულა პლუსით – ქართველ მომღერლებზე შეყვარებული ყოფილა.

დედაჩემი ისე ნერვიულობდა ჩემს გამოსვლამდე, საერთოდ არც ახსოვდა, თუ შეიძლებოდა დამტკბარიყო ჩეხეთით. მე კი ხან აუზით ვერთობოდი, ხან სუშის ჭამით. ნათესავმა მითხრა, საქართველოში ხომ „მოიგე“ კარლოვი ვარი„ ეხლა ხომ იცი, პარიზი უნდა მოიგო, იქაც უნდა წამოვიდეთ საგულშემატკივროდო. ფესტივალის ორგანიზატორის რჩეულის თასიც ხომ ავიღე, რადგან მიზანდასახული და პირველ ადგილებზე გასვლას ვარ მიჩვეული. ისე, საქართველოში გარდა კონკურს „სულიკოში“ ორჯერ გამოსვლისა პოსტ-ტე-შიც ვარ სიმღერებით გამოსული.

ხო, რა მინდოდა მეთქვა, ხომ იყო კონკურსი, მაგრამ იქ თითოეულ მონაწილეს ეს არ გვიგვრძნია, ერთმანეთის კონკურენტი არც ერთი არ ვიყავით, პირიქით, დავმეგობრდით. ყველა ჩემი ინიციატივით გავიცანი და დავმეგობრდით კიდეც. თუ გინდა გაიცნო ადამიანი, კი არ უნდა დაელოდო, უნდა მიხვიდე და გაიცნო, მეგობრობაც ადვილად მყარდება ერთმანეთთან.

ჩეხეთიდან სასაცილო ამბავიც გამომყვა – მეტროთი და ტრამვაით (იქ, პრაღაში ქუჩებში ყველგან ტრამვაი მოძრაობს) სულ უფასოდ ვიმგზავრეთ, ენა ჩვენ არ ვიცოდით და არც „მოძრაობის წესები“, ეს წესები თბილისში და საერთოდ, საქართველოშიც ნელ-ნელა შემოდის. ჩვენც მივეჩვევით (გულიანად იცინის), ჩეხეთი მოვიარე და მხოლოდ ქუთაისი – პრაღა-ქუთაისის თვითმფრინავით მგზავრობის თანხა „დამიჯდა“... ისე, პრაღაში ტაქსის მძღოლები ინგლისურად გელაპარაკებიან...

– აი, ხომ მიყურებთ, რა სიმაღლისა ვარ. – ***სკამიდან დგება და მეუბნება:*** – ყველა მეუბნება, შენ სიმაღლეზე უფრო მაღალი შენი ხმა არის-ო, ჯერ-ჯერობით არც მწყინს, მეც გავიზრდები სიმაღლეში, მაგრამ ხმა ისევ „გამასწრებს“...

საუბარში სიტყვას, კითხვას ვერ „ვატან“, ისე სწრაფად და საინტერესოდ საუბრობს. დედამისი გვაწყვეტინებს საუბარს: – რაო, მოჰყევი და მოჰყევი, რაც სათქმელი იყო და არ იყოო?!

– არა, მთავრი არ მითქვამს. აი, ჩვენი რაიონის მერმა ჩემზე დიდი გიტარა რომ მაჩუქა. დაგვიბარა მე და ანსამბლ „მირელას“ ბულგარეთში გამარჯვებული ***ბარბარე ბასლიკაშვილი*** და ჯერ მოგვილოცა, შემდეგ კი გიტარები გვაჩუქა ორივეს. სასიამოვნოა, როცა შენი რაიონის ხელმძღვანელი „აფასებს“ შენს წარმატებებს, და მერე როგორი ინტერესსით „იბრძვი“ ახალი წარმატებებისათვის. მადლობა მინდა ვუთხრა ***ჩვენი რაიონის მერს*** **ავთო გულიკაშვილს...**

ჩვენი „საუბრის“ ბოლო „აკორდს“ დედამისი – ხატია უსმენს, უხერხულობისგან იცინის და ეხვეწება, კარგი, ნუღარ გააგრძელებს საუბარს, შენ ვერ დაიღლებიო... ჩვენც ვითვალისწინებთ დედის თხოვნას.

დავემშვიდობეთ ერთმანეთს კვლავაც ნახვის სურვილით და ახალ-ახალი წარმატებების მოლოდინით, აქტიურად საგულშემატკივროდ.

P.S. *ისე პირველი შემთხვევაა ამდენწლიანი რედაქციაში მუშაობით, რესპოდენტისთვის კითხვა არ დამისვამს და სიტყვები ძალით არ „ამომიგლეჯია“...*

წინ საკმაოდ რთული გზა-სავალია, **თუმცა,**

ჰორიზონტზე საკმაოდ ნათელი ფერებია

ერთი *შეხედვით პატარა გოგონაა, საოცარი, ლამაზი, თბილი თვალებით. აი, ისეთი, ლამაზი, ლამაზ-ლამაზი ნახატებიდან კეთილად რომ გიღიმიან მხატვრის ხელით დახატული, შიგ ათასნაირად გამთბარი, სხივებიანი თვალებით. მის თვალებს კიდევ სხვა სიკაშკაშე აქვს, რაც მხოლოდ ქართველი ქალის თვალებში შენიშნა და ადიარა მსოფლიომ. დიახ, ქართველ ქალს თვალებიდან მზის სხივებივით ნათელი და თბილი, სიყვარულით აკაშკაშებული მზერა აქვს. ასეთი თვალები აქვს სწორედ ჩვენს პატარა, მაგრამ უკვე ჭადრაკის დიდ სარბიელზე გასულ მეგრელ-კახელს, საგარეჯოელ* **ანასტასია (ტასო) ხასიას.** *ტასუნა ჯერჯერობით იმდენადაა დამორცხვებული, თავის წარმატებებზე საუბარს თითქოს თავს არიდებს, ამიტომ მასთან ერთად რესპოდენტობა დედამისს* **ანა ილაურს** *ვთხოვეთ. ვისაუბრეთ და რამდენიმე კითხვაზე პასუხიც, ვფიქრობთ, სრულყოფილად მივიღეთ:*

– **ანასტასია** სწავლობს საგარეჯოს პირველ საჯარო სკოლაში, არის მესამე კლასში, მისი მასწავლებელი ნანა ფაფიაშვილია. პირველად როდესაც 4 წლის იყო დაიკოსთან მივიდა ჭადრაკის გაკვეთილზე , სწორედ იქ დაინტერესდა და დაიწყო ფიგურების დალაგება, ჯერ მხოლოდ გასართობი იყო მისთვის, რამოდენიმე გაკვეთილის მერე კი შევნიშნეთ, რომ მას საკმაოდ კარგი ინტუიცია, მახსოვრობა და ვარიანტების გათვლის შესახლებლობა ჰქონდა.

ბოლოს ისე შეუყვარდა იქაურობა და საერთოდ ჭადრაკი, რომ ახლა ყოველ დღე დადის ჭადრაკზე **ელენე ფარეშიშვილთან** და დაუღალავად მეცადინეობს.

პირველი გამარჯვება საგარეჯოში გამართულ ტურნირში იზეიმა, 2021 წელს, როგორც ყველაზე პატარა მონაწილემ.

ამის შემდეგ აქტიურად მონაწილეობს საქართველოს მასშტაბით თითქმის ყველა ტყრნირზე ასევე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში საკვალიფიკაციო ტურნირებზე, დახურული აქვს V თანრიგი, გადასულია IV თანრიგზე.

2023 წლის დეკემბერში იგი უკვე პირველი ადგილის მფლობელია კახეთის რეგიონალურ ჩემპიონატზე

წელს კი, 2024-ში იგი უკვე კახეთის ჩემპიონია 8 წლამდე გოგონებში

ამ გამარჯვების მერე ანასტასია გავიდა უკვე საქართველოს ჩემპიონატზე, მან თამაშიდან 6 ქულა დააგროვა და მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა საქართველოს მასშტაბით,(. მესამეზე გადიოდა თუმცა თავისივე მსგავსი ქულით გაასწრო რწიტიანგიანმა ბავშვმა)

ამის მერე მიიწვიეს ანასტასია უკვე მაოფლიო თასის თამაშზე, სადაც მსოფლიოს 43 ქვეყნიდან იყვნენ მოთამაშეები, მართალია საპრიზო ადგილი ვერ დავიკავეთ მარა იქაც ღირსეულად წარმოაჩინა საქართველო და საგარეჯო.

აგვისტოში „რაჭა 2024“ მან ისევ პირველი ადგილი დაიკვა

2024 წელს იგი იყო ტიგრან პეტროსიანის თასის მფლობელი , ეს ტურნირი გაიმართა ჭადრაკის სასახელში

ამას გარდა წინ გველოდება სხვადასხვა ტურნირები საქართველოს მასშტაბით

ანასტასია მწვრთნელ ელენე ფარეშიშვილთან მეცადინეობს, უკვე მესამე წელია

მოსწავლე-მასწავლებელს მეგობრული ურთიერთობა აქვთ, ხშირად განიხილავენ სხვადასხვა პარტიებს

თავისუფალი დრო თითქმის არ აქვს, სკოლის გარდა, ყოველ დღე დადის ჭადრაკზე და ცეკვაზე

დატვირთული მეცადინეობების გამო თითქმის სხვა ყველა წრე დატოვა

ძალიან უყვარს თავის დაიკოსთან ჭადრაკის თამაში და სადაც მივდივართ სტუმრად, ყველას ეკითხება, იქ, ოჯახში თუ ვინმემ იცის ჭადრაკი რომ იპოვოს თავისი სივრცე და იქაც ეთამაშოს ვინმეს.

ყველაფერს უკვე ჭადრაკთან აკავშირებს, უნდა უკვე ჭადრაკის თმისსამაგარი, ჭადრაკის ჩანთა , ფეხსაცმელი, მოკლედ ჭადრაკი უკვე მისი ცხოვრებაა და ვფიქრობ, თუ მოინდომა და იშრომა, ღირსეული მოჭადრაკე იქნება

– ***წარმატებებს ეუსურვებთ გამარჯვებების გზებისკენ პატარა გარეჯელ გოგონას, რომელსაც ჯერჯერობით მხოლოდ ოჯახი და მწვრთნელი, კლასი, სკოლა როდი გულშემატკივრობს, ვიმედოვნებთ მას მსოფლიო ჭადრაკის სამყარო მალე გაიცნობს.***

მართლმადიდებლობა

ჯოჯოხეთიდან სულების დამხსნელი

19 სექტემბერი მიქაელ მთავარანგელოზის ხსენების დღეა.

გადმოცემით ამ დღეს მთავარანგელოზი მიქაელი ჯოჯოხეთში ჩადის და ფრთებით ადამიანთა სულები ამოყავს. მიქაელ მთავარანგელოზის ძალა გფარავდეთ თქვენ, თქვენს ოჯახებს და სრულიად საქართველოს!

ტროპარი: ***ზეცისა მხედრობათა მთავარანგელოზო მიქაელ, გევედრებით უღირსნი ესე, რათა მეოხებითა შენითა შეგვზღუდნე ჩუენ საფარველითა ფრთეთა შენთათა, და უხორცოსა მის დიდებისა შენისა მიერ დაცულნი შეგიერდებით და ხელადპყრობით გიღაღადებთ: ღელვათა და განსაცდელთაგან გვიხსნენ ჩუენ, დიდნო მთავარო ზეცისა ძალთაო.***

ჯვართამაღლება

27 სექტემბერს მართლმადიდებელი ქრისტიანები ჯვართამაღლების დღესასწაულს აღნიშნავენ. ამ დღეს დაწესებულია ერთდღიანი მარხვა.

ჯვართამაღლების დღესასწაული მე–4 საუკუნეში დაწესდა. წმინდა ელენე დედოფალი დაინტერესდა, თუ სად იყო მაცხოვრის ჯვარი, რომელზეც გაეკრა კაცობრიობის მხსნელი. ის გაემართა იერუსალიმისკენ და დაიწყო ამ ჯვრის ძიება. ბევრისთვის ცნობილია, როგორ ჩავა იერუსალიმში და გამოიკითხავს ებრაელ რაბინებში, სად არის გოლგოთის მთა. იქ უკვე ქრისტიანული თემი. მიაგნებენ ამ მთას, სადაც მიწით დახვდებათ ყველაფერი დაფარული. იქაურობას გაასუფთავებენ და იპოვიან სამ ჯვარს, რომლებზეც ორი ავაზაკი და მაცხოვარი იყვნენ გაკრულნი. მაგრამ ეს ჯვრები არ აღმოჩნდება ისეთი თანმიმდევრობით განლაგებული და ამიტომ დადგება დღის წესრიგში საკითხი, რომელია ამ სამი ჯვრიდან მაცხოვრის ჯვარი. იქვე ახლოს სამგლოვიარო პროცესია მიმდინარეობდა და გაჩნდება ასეთი აზრი, რომ მიცვალებულები რიგრიგობით ამ ჯვარზე დაასვენონ და თუ კაცობრიობის მხსნელია, ერთი ადამიანი ხომ მაინც აღდგებოდა. მართლაც, ასეც მოხდება, მაცხოვრის ჯვარზე შეხებისას ეს გარდაცვლილი ადამიანი მკვდრეთით აღსდგება. მართლაც, ეს უდიდესი სასწაული მოხდება.

გაკვირვებული და გახარებული ადამიანები შემოიკრიბებიან ელენე დედოფლის და ამ ჯვრის გარშემო. ეს ფაქტი ყველასათვის ცნობილი გახდება. ბევრი გამოთქვამს სურვილს ამ ჯვრის ნახვისა. ერის სიმრავლის გამო ჯვარი სათაყვანებელი საგანი გახდება და სამღვდელოება და ელენე დედოფალი ამ ჯვარს ზეაამაღლებენ. ხელით აწევენ, რომ ადამიანებმა რწმენით შეხედონ ამ ჯვარს.

რწმენით მიმართება ჯვართან არის საფუძველი იმისა, რომ ჯვარმა თავისი ძალა გამოაჩინოს, თორემ სხვა მხრივ ჯვარი, როგორც უბრალოდ ნიშანი, ქრისტიანობამდელ პერიოდშიც იყო და ახლაც ბევრია. ჯვარს სჭირდება გააზრება, ქრისტესთან დაკავშირება. თუკი ჯვარი ღმერთთან არ არის შეერთებული, იგი რამე ძალის მატარებელი არაა.

ყოველი ჩვენთაგანი არის საზოგადოების ნაწილი. ჩვენ ვცხოვრობთ დედამიწაზე. ღმერთმა ადამიანი შექმნა.

დავით გურამიშვილი ამას საუკეთესოდ აღწერს ლექსში "დავითიანი."

"ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო,
მაცხოვნებელი შენ მათი წამწყმენდლად მიგიჩნიესო,
შესამოსელი გაგხადეს, ქლამინდი მოგახვიესო!
ჯვარზედ გაგაკრეს, ხელ-ფეხთა ლურსმანი გაგიწიესო,
წყალი ითხოვე, მოგართვეს, ძმარში ნაღველი რიესო;"

ადამიანი მარხვით იხსენებს, როგორ მოეპყრო ჩვენი მოდგმის ადამიანი სიკეთეს საკუთარი ინტერესების გამო. კაცობრიობის მხსნელი ჯვარზე გააკრეს, რისთვის? საკუთარი ინტერესები არ ემთხვეოდა ღვთაებრივ ინტერესს. ეს არ დათმო ადამიანმა და მოინდომა, ღვთაებრივი და წმინდა ინტერესების გაქრობა და წაშლა.

21 სექტემბერი მარიამ ღვთისმშობლის დაბადების დღეა

უფალმა, ადამის მოდგმა რომ ეხსნა, კაცობრივი ბუნების მიღება ინება და დედად ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი გამოირჩია.

ძველი აღთქმის წიგნებში ბევრგან გვხვდება წინასწარმეტყველება ღვთისმშობლის შესახებ. ეზეკიელ წინასწარმეტყველს იგი დახშულ ბჭედ ეჩვენა: „რომელი არავინ განვლო, გარნა ღმერთმან და დახშული ჰგიეს ბჭეი იგი" (ეზ. 44:2); დანიელ წინასწარმეტყველი ამბობდა: „მთისაგან ლოდი თვინიერ ხელისაგან კაცისა გამოკუეთილი" (დან. 2:34), რაც იესო ქრისტეს უმამაკაცოდ შობას გულისხმობდა, ხოლო ესაია ღაღადებდა: „აჰა ესერა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე " (ესაია 7:14).

მოსემ ღვთისმშობელი შეუწველ მაყვლოვნად იხილა სინას მთაზე, გედეონმა - საწმისად, დავითმა - ტარიგად, ოსე წინასწარმეტყველმა – უხრწნელ ქალწულად ჰქადაგა, ეზეკიელმა - სიწმინდის ბჭედ, დანიელმა - შეურყეველ მთად, ესაიამ - იესეს ძირად.

ქრისტიანულ ლიტერატურაში არსებობს იაკობის აპოკრიფული თხზულება „შობა მარიამისა" (აპოკრიფი ბერძნული სიტყვაა და „დაფარულს" ნიშნავს. მოგვიანებით ეს სახელი ეწოდა არაკანონიკურ წიგნებს, თუმცა ზოგიერთ აპოკრიფულ თხზულებას წმინდა ეკლესია იწყნარებს, თუკი მათი თხრობა არ ეწინააღმდეგება ეკლესიის სწავლებას), რომელიც დაწვრილებით მოგვითხრობს, თუ როგორ შეეძინათ იოაკიმესა და ანას მომავალი მშობელი განკაცებული უფლისა.

ყოვლადწმიდა ქალწული გალილეის პატარა ქალაქ ნაზარეთში დაიბადა. მისი მამა, **მართალი იოაკიმე,** დავით მეფის ტომიდან იყო, ხოლო დედა, **მართალი ანა,** პირველი მღვდელმთავრის აარონის შთამომავალი გახლდათ. ღვთისმოშიშ ცოლ-ქმარს შვილი არ ეძლეოდა. ასე მიაღწიეს მათ ხანდაზმულობამდე, მაგრამ იმედი არ დაუკარგავთ, რომ ღმერთი, რომლისთვისაც არაფერია შეუძლებელი, შვილს მომადლებდა მათ. იოაკიმემ და ანამ აღთქმა დადეს, რომ ახალშობილს ტაძარში მსახურებისათვის უფალს მიუძღვნიდნენ. ებრაელები უშვილობას ღვთის სასჯელად მიიჩნევდნენ, ამიტომ იოაკიმე და ანა თანამემამულეთაგან მრავალ უსამართლო ყვედრებას ისმენდნენ. ერთ-ერთ დღესასწაულზე მართალ იოაკიმეს იერუსალიმის ტაძარში უფლისათვის მსხვერპლის შეწირვა სურდა, მაგრამ მღვდელმთავარმა უარი უთხრა. მოხუცი ღრმა მწუხარებით აივსო, უდაბნოს მიაშურა და ორმოცი დღე მარხვასა და ლოცვაში გაატარა.

უფალმა შეისმინა ცოლ-ქმრის ვედრება. მთავარანგელოზმა გაბრიელმა ანას აცნობა, რომ იგი მალე დედა გახდებოდა, ხოლო მისი ნაშობი განდიდდებოდა. გახარებულმა ქალმა მადლიერების ნიშნად მაშინვე აღთქმა დადო, რომ ბავშვს უფალს შესწირავდა. ანგელოზმა უდაბნოში განმარტოებულ იოაკიმესაც აუწყა, რომ ღმერთმა მისი ვედრება შეისმინა და მალე მემკვიდრე შეეძინებოდა.

გავიდა ხანი და ანამაც იმშობიარა. მას ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც მარიამი უწოდეს.

მარიამი ერთი წლისა რომ გახდა, იოაკიმემ დიდი ლხინი გადაიხადა და მღვდელმთავრები, მღვდლები, მწიგნობრები და პატივსაცემი მოხუცები მიიწვია. მღვდელმთავრებმა და მღვდლებმა ჩვილი დალოცეს და ღმერთს მისი კურთხევა შესთხოვეს.

შობა ყოვლადწმიდა ქალწულისა მარიამისა, ვინც თავისი უმანკო სხეულით განკაცებული უფალი იტვირთა, ქრისტიანთა ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულია. ღვთისმშობელმა თავისი სიწმინდითა და სათნოებით არა მხოლოდ ყველა მოკვდავს, ყველა ანგელოზსაც გარდაამეტა, ღვთის ცოცხალ ტაძრად იქცა, როგორც მას წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია უგალობს, გახდა „ზეციური ბჭე, რომლითაც ქრისტე ამქვეყნად მოვიდა ჩვენს სულთა სახსნელად".

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ზეციურ იერარქიაში თვით უმაღლესი დასის ანგელოზებზე მაღლა დგას. როგორც მისდამი მიძღვნილ ერთ-ერთ საგალობელშია, „უპატიოსნესი ქერუბიმთა და აღმატებით უზესთაესი სერაფიმთა".

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ყველას შემწე და მეოხია, მაგრამ საქართველოსა და ქართველებს იგი განსაკუთრებით მფარველობს. ეს იმიტომ, რომ, საღვთო გადმოცემის თანახმად, ივერია ღვთისმშობლის წილხვედრია. როცა მოციქულები წილს ყრიდნენ, ვის რომელ მხარეში ექადაგა ქრისტეს რჯული, ღვთისმშობელს საქართველო ხვდა წილად, მაგრამ დედაღვთისას უფალი გამოეცხადა და აუწყა, არ დაეტოვებინა იერუსალიმი, ვინაიდან მოახლოებული იყო მისი მიძინება, და ისიც აღუთქვა, რომ მისი წილხვედრი მიწა მომავალში გაბრწყინდებოდა. ასე რომ, ღვთისმშობლის ნაცვლად საქართველოში ანდრია პირველწოდებული გამოგზავნეს.

საქართველო რომ ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ იმყოფება, ეს ღვთის დიდი წყალობაა, მაგრამ ამავდროულად უდიდესი პასუხისმგებლობაც. წყალობას, მადლიერების გარდა, ღირსეულად მიღებაც სჭირდება, რადგან წყალობა მხოლოდ მაშინაა ჯილდო, როცა ერთგულად მსახურებ უფალს; თუ უღირსად ექცევი ბოძებულ მადლს, იგი სასჯელად იქცევა.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობას მართლმადიდებელი ეკლესია 21 (ძვ. სტ.) სექტემბერს დღესასწაულობს. ამ დღეს ტაძრებში საგანგებო საგალობლებს აღავლენენ - ადიდებენ ყოვლადწმიდა ქალწულს, ვითარცა კიბეს, რომელამც ცა და დედამიწა შეაერთა, როცა ხორციელად შვა უფალი, და ვითარცა „მაყვალს შეუწველს", რადგან დაიტია ღმერთი და არ დაიწვა.

1902 წლის 15 დეკემბერს ვანთის ხელთუქმნელი ხატის სახელობის ეკლესიის მედავითნედ განამწესეს. 1907 წლის 17 ივლისს ალავერდელმა ეპისკოპოსმა დავითმა (კაჭახიძე) მღვდლად დაასხა ხელი და შატილის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად განამწესა.

1910 წლის 11 ოქტომბერს მრევლის სიმცირის გამო დროებით შტატიდან დაითხოვეს და ჯამაგირი შეუწყვიტეს.

1911 წლის 26 იანვარს წინანდლის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მედავითნედ, ხოლო ამავე წლის 20 აპრილიდან კი - მარტყოფის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სახელობის საკათედრო ეკლესიის მედავითნედ განამწესეს.

1912 წლის 18 იანვარს ქედის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად დაადგინეს. 1915 წლის 12 ივლისს საგვერდულით დაჯილდოვდა.

1916 წლის 6 ივლისს მაღაროს ფერისცვალების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გადაიყვანეს. XX საუკუნის 20-იანი წლებში საგარეჯოს წმინდა დოდოს სახელობის ეკლესიაში მსახურობდა. მღვდელი პავლე თებერვალი 1942 წელს გარდაიცვალა.

მამა პავლეს მეუღლე, ევა ნიკოლოზის ასული მჭედლიშვილი (1881-1961) ს.კაკაბეთიდან, დაკრძალულია ნინოწმიდის საგვარეულო სასაფლაოზე მეუღლის გვერდით

მამა პავლეს მშობლები ივანე ტოპეშაშვილი (მედავითნე) და დედა მანძულაშვილების ქალი იყო.

გარეჯელები – ეკლესიის მსახურნი
წინაპართა ნატერფალებზე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში (აზერბაიჯანული სოფლების გარდა) არის ეკლესია-სალოცავები, რომლებიც გასული საუკუნის დასაწყისამდე ფუნქციონირებდა, შემდეგ კი მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული მათი მოვლა-პატრონობა. ქრონიკები გვეუბნება,რომ მათი უმრავლესობა შაჰ-აბასის შემოსევებისას დაანგრიეს, გადაწვეს, საძირკვლებამდე დაიყვანეს, მაგრამ, 800-იანი წლებიდან მოსახლეობისა და ეპარქიების ძალისხმევით კვლავ აღდგენილ იქნა. 1921 წლიდან კი მათი კარები ან ბოქლომდადებული იქნა, ან კულტურის სახლად გადაკეთდა...

ისტორიამ შემოინახა ეკლესიაში მოღვაწე სასულიერო პირთა ბიოგრაფიული ცნობები,მათი მოღვაწეობა და ღვაწლი. ჩვენი მუნიციპალიტეტიდან კი ასეთი მოღვაწე ადამიანები, ჩვენდა საამაყოდ, მრავლად არიან, დღეს ერთ-ერთ მათგანზე მოგითხრობთ,რომლის შვილიშვილები – პავლე და ლუიზა ტოპეშაშვილები საგარეჯოს მკვიდრნი არიან და პავლე სწორედ იმ სახელოვანი პაპის მოსახელეა, რომელიც სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად, მოსახლეობას წერა-კითხვასაც ასწავლიდა.

ტოპეშაშვილი პავლე იოანეს ძე 1874 წელს, მედავითნე გლეხის ოჯახში სოფელ ნინოწმინდაში დაიბადა. სასწავლებელში არ უსწავლია.

1892 წლის აგვისტოში ჯუგაანის ჯვარპატიოსანის სახელობის ეკლესიის უშტატო მედავითნედ დაინიშნა. ამავე წლის ბოლოს დუისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მედავითნედ გადაიყვანეს.

1893 წლის სექტემბერში უკანა ფშავის სამრევლოს მედავითნედ განამწესეს.

1900 წლის 23 ნოემბერს მუსხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში გადაიყვანეს.

სპორტი

ფეხბურთი

აქ იზრდებიან მომავალი გარეჯელი ვარსკვლავები

ყველა, ვინც კი ოდნავ მაინც არის ჩახედული ჩვენი მუნიციპალიტეტის ფეხბურთის დღევანდელობაში, უსათუოდ შეამჩნევდა იმ დიდმნიშვნელოვან გარდაქმნებს, რასაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ეწევა სპორტის ამ საინტერესო და მთელს მსოფლიოში პოპულარული სახეობის შემდგომი განვითარების მიზნით. დაწყებული ფეხბურთის კლუბ „გარეჯი-1960“-ის ჩამოყალიბებითა და მისთვის ფუნქციონირებისათვის სათანადო პირობების შექმნით, ასევე, საგარეჯოს ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქციის დამთავრებით.უნდა ითქვას,რომ გარეჯული ფეხბურთის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა და ხელი შეუწყო ფეხბურთით მომავალი თაობების უფრო მეტად დაინტერესებას. ევროპულ სარბიელზე საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების წარმატებებმა და „გარეჯი-1960“-ის ამ ბოლო წლების მიღწევებმა კი ერთი ორად გაზარდა და გააძლიერა ეს ინტერესი, რასაც კლუბში ვარჯიშის დაწყების მსურველების სიმრავლეც მოწმობს.

მაინც, თუ როგორი პირობები აქვთ შექმნილი ჩვენს პატარებს აქ სავარჯიშოდ და რა წარმატებები აქვთ კლუბის მწვრთნელების ადსაზრდელებს წლევანდელ საფეხბურთო სეზონზე, ამის გასარკვევად ამ დღეებში საგარეჯოს ცენტრალურ სტადიონზე ვეწვიეთ კლუბ „გარეჯი-1960“-ის მენეჯერს **რეზო ხებრელაშვილს.** *მის მოსვლამდე ფეხბურთელთა გასახდელთან შემხვდნენ ჩემი ყოფილი თანასკოლელი, თოხლიაურელი ნოდარ ლოლაძე, რომელსაც თან შვილიშვილი – გიორგი მოეყვანა, მწვრთნელ ოთარ დევდარიანთან ვარჯიშის დასაწყებად და მას ამასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხების შესახებ ესაუბრებოდა. აქვე გაიხსენა, თუ როგორ ვიღებდით მონაწილეობას რაიონის უფროსკლასელი ბიჭები საგარეჯოში პირველი სტადიონის საფარის მოსაწყობად – ხაშმის ბოლოდან ბალახის ბელტების მოჭრასა და გადმოტანაში. მოიცალა თუ არა თოხლიაურელი სტუმრებისაგან* **ოთარ დევდარიანმა,** *სტადიონზე თავის ადსაზრდელებს უხმო და ვარჯიში დაიწყო. ამასობაში კლუბის მენეჯერიც შემოგვიერთდა და მწვრთნელ* **დათო მაისურაძესთან** *ერთად სამწვრთნელო ოთახში გადავინაცვლეთ.*

– საქართველოს ეროვნული ნაკრების წლევანდელმა გამარჯვებებმა და ჩვენი გუნდის შარშანდელმა მიღწევებმა ძალიან გაზარდა ჩვენი პატარებისა და მათი მშობლების ფეხბურთით დაინტერესება, – გვითხრა რეზომ, – დღე არ გავა ისე, რომ ვინმემ არ მოგვმართოს ვარჯიშის დაწყების თხოვნით და უკვე თითქმის აღარ შეგვიძლია მსურველების მიღება. ოფიციალურად ჩვენი ადსაზრდელების რიცხვმა უკვე 440-ს გადააჭარბა და მალე ალბათ 500-ს მიაღწევს.

– 440 მომავალი ფეხბურთელი რამდენ ჯგუფშია გაერთიანებული?

– ჩვენს კლუბთან შექმნილი გვაქვს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები. ჭაბუკთა ლიგაში 3 გუნდია – 2019, 2017 და 2015 წლებში დაბადებულთა მწვრთნელებია **გელა ბანცური და არჩილ ბუზარიაშვილი.** ეს გუნდები მონაწილეობენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ჭაბუკთა ლიგის გათამაშებაში. 2011 წელს დაბადებულთა მწვრთნელია **ოთარ დევდარიანი.** 2012 წლიანთა გუნდს წვრთნის **გიორგი ნიშარაძე**, მასვე მინდობილი აქვს 2013 წელში დაბადებულთა ვარჯიში. 2014 და 2015 წლებში დაბადებულთა ფეხბურთს აზიარებს **დათო მაისურაძე,** 2016 წელს დაბადებულების მწვრთნელია **გია დარისპანაშვილი,** 2017 წლიანების – **გელა ხებრელაშვილი**, 2018 წელს დაბადებულების – **თორნიკე კევლიშვილი.** ყველა ეს გუნდი დაწყებული 2011 წელს დაბადებულებით და 2018 წლებში დაბადებულებით დამთავრებული, მონაწილეობას იღებენ თბილისის საქალაქო ჩემიონატში და როგორც ჭაბუკთა ლიგის გუნდები, ასევე ისინიც საპრიზო სამეულში იკავებენ ადგილებს.

– როგორც ჩანს, ოფიციალური ფეხბურთი საგარეჯოს ფარგლებს უკვე გასცდა და მის მიმდებარე სოფლებშიც მოიკიდა ფეხი, არა?

– კი, ჩვენი კლუბის მწვრთნელი მალხაზ ნიჟარაძე ფეხბურთს ასწავლის მანავში, ჩაილურში, კაკაბეთში, ბადიაურში. უდაბნოელი ბავშვების ფეხბურთის ფეხბურთის შესწავლას ემსახურება მწვრთნელი თეზო ხაჭვანი. მაგრამ ამაზე არ ვაპირებთ კლუბის ხელმძღვანელობა შეჩერებას და ვაპირებთ მუნიციპალიტეტის მთის სოფლების უჯარმისა და გომბორის ზონის პატარების ჩაბმასაც სპორტის ამ სახეობაში და ვეძებთ იქ ამ საქმის განმახორციელებელი მწვრთნელის კანდიდატურას...

– ვინაიდან საფეხბურთო სეზონი ჯერ კიდევ კარგა ხანს გასტანს, მოდი თავი ავარიდოთ თქვენგან დასახელებულ ასპარეზობებში თქვენი კლუბის ადსაზრდელთა კონკრეტულ წარმატებებზე საუბარს და ჩვენი მომავალი ფეხბურთელების და მათი მშობლების ყველაზე მეტად საინტერესო საკითხს შევეხოთ. – ფასიანია თუ უფასოდ შეუძლიათ თქვენთან ვარჯიშის დაწყება ჩვენს პატარებს? როგორც ვიცი, ვარჯიშები ყოველგვარი მოსაკრებლის გარეშე ტარდება და ეს კიდევ ერთხელ გავაგებინოთ ჩვენს მოსახლეობას, რომ ეკონომიკური გაჭირვების გამო თავი არ შეიკავონ ბავშვების ფეხბურთში ვარჯიშის დაწყებისაგან და ამით არ დაკარგოთ, ვინ იცის როგორი ტალანტების მქონე მომავალი ფეხბურთელები.

– ასეთი მიზეზები, რომ ეკონომიური ხელმოკლეობის გამო ჩვენთან ბავშვი სავარჯიშოდ არ მივიდეს, კლუბს ნამდვილად არ გააჩნია. ყველაფერი დაწყებული ვარჯიშით, ეკიპირება, სპორტული ინვენტარი, ტრანსპორტირება და სხვა ხდება კლუბის ხარჯით, რომელსაც ***მუნიციპალიტეტის მერია აფინანსებს და ყოველდღიურად ეგრძნობთ, მათ და პირადად ბატონ ავთანდილ გულიკაშვილის მხარდაჭერასა და თანადგომას.***

ესაუბრა ***ვიკი დაბახიშვილი***

კალათბურთელები საგარეჯოშიც იზრდებიან

კალათბურთი მთელ მსოფლიოში სპორტის ძალზე პოპულარული სახეობაა და შეიძლება ითქვას, ფეხბურთის შემდეგ რეიტინგით მეორე ადგილზე ნამდვილად არის, თუმცა, არის ქვეყნები, სადაც ის პირველ საფეხურსაც იკავებს (მაგალითად აშშ-ში). ჩვენთანაც კალათბურთი არანაკლებ პოპულარულია დღესაც და წარსულშიც მასთან არაერთი დიდი წარმატებაა ასოცირებული. თუნდაც ის რად ღირს, რომ თბილისის „დინამო“ გასული საუკუნის 60-იან წლებში, კერძოდ 1962 წელს გახდა ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი, დაამარცხა რა ფინალში მადრიდის „რეალი“ 90:83.

არც დღევანდელი ქართული კალათბურთია ნაკლებად პოპულარული. ბევრი ახალგაზრდა სერიოზულად არის ჩაბმული სპორტის ამ სახეობაში. საქართველოს ბევრ რეგიონში გაიხსნა საკალათბურთო აკადემიები, სადაც ბავშვებს ყველა პირობა აქვს პროფესიონალად ჩამოყალიბებისათვის. ან ის რად ღირს, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურში დაბადებული და გაზრდილი გოგა ბითაძე ამერიკაში, NBA-ში თამაშობს.

კალაბურთელები ჩვენს რაიონშიც, კერძოდ საგარეჯოშიც კვლავაც იზრდებიან და წარმატებითაც ასპარეზობენ საქართველოს სხვადასხვა ტურნირებში. ეს ენთუზიასტი მწვრთნელის **თორნიკე სინჯარაძის** დამსახურებაა, რომელიც 2015 წლიდან ავარჯიშებს საგარეჯოელ ბავშვებს. სწორედ მასთან ინტერვიუს გთავაზობთ დღევანდელ ნომერში.

– თორნიკე, გააცანით თქვენი თავი ჩვენი გაზეთის მკითხველებს...

– ბავშვობიდანვე ძალიან მიყვარდა კალათბურთი, ვვარჯიშობდი ვერის საკალათბურთო დარბაზში ბ-ნ თამაზ ოქრუაშვილთან. 2005 წელს ჩვენი გუნდი „მართვე“ გახდა საქართველოს ჩემპიონი U16 და U18 ჩემპიონატებში. 2006-2007 წლებში ვთამაშობდი საკალათბურთო კლუბ „მაქაბის“ დუბლშემადგენლობაში.

2015 წელს საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში ავიღე მწვრთნელის ლიცენზია და იმავე წელს გავხსენი საკალათბურთო წრე საგარეჯოში.

პროფესიით ვარ ეკონომისტი. ვმუშაობ საგარეჯოს სასმელი წყლის ლაბორატორიაში ბუღალტრად.

– ალბათ ძნელი იყო ნულიდან საქმის დაწყება...

– პირველი ნაბიჯები ძალიან რთული იყო, რადგან საგარეჯოში მანამდე არ არსებობდა კალათბურთის წრე. ნელ-ნელა შემოვიკრიბე ბავშვები. პირველი მერცხლები იყვნენ: **გიორგი ლაფაჩიშვილი, იოსებ მატიაშვილი, არჩილ მასურაშვილი, დათა ჩალათაშვილი, ნიკოლოზ ჯიაბერაშვილი.** მათგან **დათა** გაჰყვა პროფესიულ კალათბურთს და ამჟამად ესპანეთში თამაშობს. შემდეგი თაობიდან გამოირჩევა **ლუკა კოხტაშვილი,** რომელიც ამჟამად ზაზა ფაჩულიას აკადემიის U16 გუნდში თამაშობს.

– როგორც ვიცი, გასული სეზონიც წარმატებული იყო თქვენთვის...

– კი, გასული სეზონი ნამდვილად იყო წარმატებული. U12 და U14 გუნდები ასპარეზობდნენ FBL (ამერიკის საკალათბურთო ასოციაციის პროექტი) საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატებში.

ჩვენი U14 გუნდი საქართველოს ჩემპიონატზე 70 გუნდიდან 8 საუკეთესოში მოხვდა, თავდაპირველად 7 გუნდიან ჯგუფში თბილისში დავიკავეთ პირველი ადგილი. მერვედფინალში დავამარცხეთ საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „ლომები“, მეოთხედფინალში კი დამატებით დროში დავმარცხდით ქუთაისის „ჭოხო-ბასკეტთან“ 2 ქულით. ამ შეხვედრაში ჩვენმა ლიდერმა **დიმიტრი გულუამ** 45 ქულა ჩააგდო.

რაც შეეხება FBL-ზე ასპარეზობას აქ მესამე საპრიზო ადგილი დავიკავეთ და ბრინჯაოს მედლები მოვიპოვეთ. ჩვენმა ლიდერმა **კანჯარაშვილმა** 28 ქულა ჩააგდო და 5 პერსონალურის გამო დატოვა თამაში. რომ არა ეს შეცდომა, ალბათ ფინალში გავიდოდით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხუთეული თითქმის შეუცვლელად თამაშობდა.

U12 გუნდმა საქართველოს ჩემპიონატზე (JR.NBA) კახეთის დივიზიონში პირველი ადგილი დაიკავა. ეს სულაც არ იყო ადვილი, რადგან კახეთის რამდენიმე რაიონში საკმაოდ ძლიერი გუნდები ჰყავთ, განსაკუთრებით თელავსა და გურჯაანში, აღმოსავლეთ საქართველოს 8 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა, ხოლო FBL-ის ჩემპიონატში ნახევარფინალურ ეტაპამდე მიაღწია. იქ წავაგეთ თბილისის „ლომებთან“, რომელიც შემდეგ ჩემპიონი გახდა.

– ვის გამოყოფდით თქვენი ადსაზრდელებიდან, ვინ გამოიჩინა ამ ასპარეზობებზე თავი?

– გასულ სეზონში გამორჩეული თამაშით თავი დაგვამახსოვრეს U14 გუნდის წევრებმა: **ნიკოლოზ კანჯარაშვილმა, დემეტრე გულუამ და საბა მირზიკაშვილმა,** ხოლო U12 გუნდიდან გამოირჩეოდნენ **თემუკა გაგნიაშვილი, ლაზარე დანელია და მარი აგულაშვილი.**

– როგორია თქვენი წლევანდელი გეგმები?

– U14-ის ლიდერები ჩემი რეკომენდაციით ვარჯიშს თბილისის საუკეთესო აკადემიებში გააგრძელებენ, მყავს კარგი, პერსპექტიული ბავშვები ათწლიანთა შორის, ასე, რომ წინ კიდევ ბევრი შრომა გველის, რომ მათ, ვისაც ამის სურვილი და პერსპექტივა აქვს, დაეუფლონ კალათბურთის თამაშს და საუკეთესო შედეგებს მიაღწიონ.

– სად ატარებთ ვარჯიშებს და შეჯიბრებებს?

– ვარჯიშებს ვატარებთ ნინოწმინდის სკოლის დარბაზში. სხვაგან, სამწუხაროდ , შესაბამისი პირობები არ არის. არც დარბაზებია სტანდარტული. სამწუხაროდ, არც დია მოედნებია მხოლოდ კალათბურთისთვის. ფეხბურთის მოედნებზე საფარი სხვანაირია და იქ ნორმალური ვარჯიში, მით უფრო თამაში, ძალიან ძნელია. თუმცა, იმედი გვაქვს, რომ გვექნება, რადგან მუნიციპალიტეტის მერია დაგვპირდა და ვიცით, პირობას შეასრულებს.

– რას ეტყოდით ჩვენს მკითხველებს, მათ შორის მომავალ კალათბურთელებს?

– მე ძალიან მიყვარს კალათბურთი და ყველაფერს ვაკეთებ მისი პოპულარიზაციისა და მომავალი კალათბურთელების აღზრდისათვის. მინდა ჩემი ცოდნა და გამოცდილება გავუზიარო ბავშვებს, შევაყვარო კალათბურთი და ცხოვრების ჯანსაღი წესი.

ესაუბრა ***ზურაბ აგულაშვილი***

სპორტი

მკლავჭიდი

საგარეჯოელი მსოფლიო ჩემპიონი მკლავჭიდში

მოლდოვაში გამართულ მკლავჭიდელთა ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონატში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ა(ა)იპ„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ (*დირექტორი* **მამუკა კურდღელაშვილი**) მკლავჭიდელები (მწვრთნელი მამუკა ბილანიშვილი).

მსოფლიოს ჩემპიონატი

ჭაბუკები

80კგ წონით კატეგორიაში მარჯვენა და მარცხენა ხელით მკლავჭიდში ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა საგარეჯოელი **ბაჩო დიღმელაშვილი.**

ოთარ საგინაშვილი (65 კგ) –– ბრინჯაო, მარჯვენა;

მიხეილ გელოვანი –ვერცხლი (75კგ, მარჯვენა);

გიორგი ღვინაშვილი (75კგ) ოქრო მარჯვენა;

ნიკა კუზანაშვილი ახალგაზრდებში მსოფლიო ბრინჯაოს მედალოსანია (65კგ)

გიორგი როსტომაშვილი ბრინჯაოს მედლის მფლობელია მსოფლიო ჩემპიონატში +110კგ წონით კატეგორიაშიო (მარცხენა ხელი).

პარა მკლავჭიდი ახალგაზრდული

მერაბ ალუღიშვილი მსოფლიო ვიცე ჩემპიონია +65კგ წონით კატეგორიაში მარცხენა და ბრინჯაოს მედალოსანია მარჯვენა ხელში.

ევროპის ჩემპიონატის შედეგები:

ჭაბუკები:

ალეკო კევლიშვილი (50კგ) – ოქრო მარცხენა, ვერცხლი მარჯვენა;

ოთარ საგინაშვილი (65 კგ) –– ოქრო მარჯვენა;

გიორგი ღვინაშვილი (75კგ) ოქრო მარცხენა, ვერცხლი მარჯვენა;

გიორგი დიღმელაშვილი (75კგ) ვერცხლი მარცხენა, ბრინჯაო – მარჯვენა;

ბაჩო დიღმელაშვილი (80კგ) ოქრო მარცხენა, ოქრო მარჯვენა;

უფროსი ასაკი

გიორგი როსტომაშვილი (+110კგ) – ვერცხლი მარჯვენა;

პარა მკლავჭიდი ახალგაზრდული

მერაბ ალუღიშვილი (+65 კგ) ოქრო მარცხენა, ოქრო / მარჯვენა;

გამოსათხოვარი

მღვდელი თეიმურაზ ქორიძე



„სული სხეულში სნეულდა,
საავნებელი სენებით,
მომიხსენიეთ სახსნელად
საუკუნეთა ხსენებით!“

ეს სიტყვები, ჩემო ძვირფასო მამაო, თქვენი დაწერილი წიგნის ფრაზებია, ამ წიგნში ფეთქავს „სამშობლო“, თქვენ იპოვეთ ღმერთი, რომელიც ჩვენშია, თქვენს მრევლში!

ჩემო უძვირფასესო, ჩემო დიდო ნუგეშო, ჩემო სევდავ და ნაღველო, ჩემო უდროოდ გულისცემაშეწყვეტილო, მამა თეიმურაზ, 40 ტკივილიანი დღე მიდის 28 სექტემბერს, უკვე ტკივილამდე მენატრები, ჩემი დიდი იმედი იყავი, მენატრება თქვენი ხმა, თქვენი სიყვარული, თქვენი ჩახუტება.

ჩემო ძვირფასო მამაო, ბოლოს 11 აგვისტოს შემოხვედით დიდი ჩაილურის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში. თქვენი თბილი მზერა მომაპყარით და მითხარით: 9 აგვისტოს თქვენი შვილის პანაშვიდი და წირვა გადავიხადეო. მე ძალიან გამიხარდა და გული დავიმშვიდე, როცა აღარ ვიქნები, ჩემო მამაო, ჩემს შვილს აუცილებლად მოიხსენიებს-მეთქი; ომში გარდაცვლილი შვილის შვილმკვდარ დედას ნუგეში არა აქვს, ერთადერთი ნუგეში არის – მისი შვილის დაფასება და პატივის მიგება. მამაო, სადაც გინდა ყოფილიყავით, 9 აგვისტოს ყოველთვის მოდიოდით ტაძარში და 2008 წლის ომში გარდაცვლილ 169 ჯარისკაცის სახელზედ შეკვეთილ წირვას ასრულებდით, გმადლობთ, მამაო, ყველაფრისათვის!

მამაო, ახლა შვილის მერე თქვენი იმედი და ნუგეშიც დავკარგე, მაგრამ ჩვენ სულაც არა ვართ შორს ერთმანეთისგან, უბრალოდ, სხვადასხვა სამყაროში ვაგრძელებთ სიცოცხლეს. შეხვედრამდე... ხომ ვიყავით ერთად და მაქვს დიდი იმედი იმისა, რომ კიდევ შევხვდებით, სამუდამოდ, დაუსრულებლად!

მამაო, ქრისტე მოგვიწოდებს: „აღიღე ჯვარი შენი და შემომიდექ მე, ისწავლეთ ჩემგან, რაოდენ მშვიდ ვარ და მდაბალ, ჰპოვოთ განსვენება სულთა თქვენთა“.

გპირდებით მამაო, ჩემს ჯვარს, დირსეულად მივიტან უფლამდე! სწორედ უფლის სიყვარულმა გადამადგმევინა ის ნაბიჯი, რომ ვყოფილიყავი დიდი ჩაილურის ღვთისმშობლის შობის ტაძრის მესანთლე და მეზრუნა ჩვენი სულების გადარჩენაზე.

ასე, რომ ჩემო ძვირფასო მოძღვარო, ერთად ვადიდოთ უფალი და ვილოცოთ საქართველოს გადარჩენისათვის, ვინატრებდი ჩვენს მალე შეხვედრას!

ნანი, დალი კირაკოზაშვილი,
სოფელი დიდი ჩაილური

ხსოვნა

თინა ბეჟიტაშვილი

გილოცავთ! დაბადების დღეს იმიერში.

„ამბობენ მართალს - შვილი დედის ამაგს ვერასოდეს გადაიხდისო და ასეც ყოფილა...“ ასე იწყებოდა შენი გამოსათხოვარი წერილი დედის, რუსუდან ბეჟიტაშვილი-ასრათაშვილის მიმართ, რომელიც 2020 წელს გამოაქვეყნეთ შენს გარდაცვალებამდე თითქმის 1 წლით ადრე. მართლაც, ამ სიტყვების მნიშვნელობას მაშინდა ვიაზრებთ, როცა უკვე ვკარგავთ მშობელს. მიუხედავად ამისა, მაინც, უხილავად, ვგრძნობთ შენს არსებობას ჩვენ გვერდით, თითქოს ზევიდან გვმფარველობ და ლოცულობ ჩვენთვის.

აგერ უკვე მესამედ შევხვდებით, 3 ოქტომბერს, შენს დაბადების დღეს, უშენოდ, დღემდე გვიჭირს იმის დაჯერება, რომ ასე ადრე და მოულოდნელად დაგვტოვე, დაგვტოვე და დაგვტოვე დიდი ტკივილი და სინანული, მოუბეზრებელი ჩახუტების და სიყვარულისა, მაგრამ ამავდროულად დაგვიტოვე უდიდესი სიამაყის გრძნობაც.

შენს შვილიშვილებს, ირაკლის და ლუკას დღემდე ახსოვხარ და ხშირად იხსენებენ თუ, როგორ ასწავლიდი ლექსებს და თვლას, როგორ დაგყავდა ჭადრაკზე, დღეს კი, როგორც შენ გინდოდა, ირაკლი მდერის და უკრავს ფანდურზე, პატარა ლუკა კი, უკვე იმარჯვებს ჭადრაკისა და ფეხბურთის შეჯიბრებებზე, წარმოუდგენელია და მტკივნეული, რომ ამ ყველაფერს ვერ დაესწარი. მართალია, თინათინს არ ახსოვხარ, ის ხომ 2 წლისაც არ იყო რომ დაგვტოვე, მაგრამ როცა ძილის წინ, რამის შეეშინდება, გვთხოვს, სანთელი დავუნთოთ შენს სურათთან, სჯერა, ბებო დაიცავს. ნუცამ ვერ მოასწრო შენი გაცნობა მაგრამ, მაინც მოდის შენს სურათებთან და ეფერება...

ჩვენც კიდევ ბევრს მოვუყვებით პატარებს ბებოზე, რომელიც იყო უდიდესი ძალის, უშიშარი და თავგანწირული პიროვნება, უზომოდ მზუნველი და წინდახედული, წიგნიერი და განათლებული, რომლის საახალწლოდ გამზადებული საჩუქარი, სამაგიდო წიგნების ტომეულები, გარდაცვალების შემდეგ ვიპოვეთ, ისევე როგორც დღემდე ვპოულობთ მის რჩევა – დარიგებებს ჩანაწერების სახით, შენ ნამდვილად ღირსეული მშობელი, ბებო, მეუღლე იყავი, გაზარდე სამაგალითო შვილები, რომლებიც გპირდებით, ყოველთვის მივაგებთ პატივს შენს ხსოვნას.

გილოცავთ დაბადების დღეს, მადლობა შენ ყველაფრისათვის, გვიყვარხარ და გვენატრები.

შენი ოჯახი.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“ გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 23184601; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.

ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

რედაქტორი:
თინათინ ილაური

გარეჯის მაცნე

ტელეფონი: 599 851 143